

შპს წნორისიტი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „წნორისიტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021 ლარი	31.12.2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები		27 826	27 829	25 094
სულ გრძელვადიანი აქტივები		27 826	27 829	25 094
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	14 243	14 177	27 843
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		365 170	703 300	662 319
სხვა მიმდინარე აქტივები	4	575 982	559 323	375 080
სულ მოკლევადიანი აქტივები		955 396	1 276 800	1 065 243
სულ აქტივები		983 221	1 304 629	1 090 336
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		607	522	17 986
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	373 983	335 030	157 160
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		374 591	335 552	175 146
სულ ვალდებულებები		374 591	335 552	175 146
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		250	250	250
გაუნაწილებელი მოგება		363 744	724 189	670 302
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		244 638	244 638	244 638
სულ საკუთარი კაპიტალი		608 631	969 077	915 190
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		983 221	1 304 629	1 090 336

შპს „წნორისტი“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	6	2 428 861	2 430 238
ამონაგების თვითღირებულება		(2 124 894)	(2 074 182)
საერთო მოგება		303 967	356 057
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(659 845)	(310 726)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(4 567)	8 556
მოგება დაბეგვრამდე		(360 445)	53 887
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(360 445)	53 887

შპს „წნორისიტი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	250	670 302	244 638	915 190
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	53 887	53 887
ნაშთი - 31.12.2021	250	670 302	298 525	969 077
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(360 445)	(360 445)
ნაშთი - 31.12.2022	250	670 302	(61 920)	608 632

შპს „წნორისიტი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს წნორისიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 25/03/2014). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, სიღნაღი, ს. ქვემო მაჩხაანი.

მისი ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საცალო-საბითუმო ვაჭრობას, სამშენებლო მასალებით.

კომპანიის დირექტორი: ლევან პაპუაშვილი (ს/ნ 40001003008)

კომპანიის პარტნიორები:

ლევან ფეიქრიშვილი (ს/ნ 20001002747) – 50%

დავით ფეიქრიშვილი (ს/ნ 20001002746) – 50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის

მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი / ლარი	2.7020	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	2.8844	3.504	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება.

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 2 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო

თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	14 243	14 177	27 843
სულ	14 243	14 177	27 843

4. სხვა მიმდინარე აქტივები

	2022	2021	2020
მზა პროდუქცია	562 450	545 244	363 844
წინასწარ გაწეული ხარჯი	11 215	11 236	11 236
სხვა აქტივები	2 317	2 843	-
სულ	575 982	559 323	375 080

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	372 887	334 008	154 635
სხვა ვალდებულებები	1 096	1 022	2 526
სულ	373 983	335 030	157 160

6. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი საცალო-საბითუმო საქმიანობიდან	2 428 861	2 430 238
სულ	2 428 861	2 430 238

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	(624 139)	(278 627)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(5 698)	(5 019)
იჯარის ხარჯი	(12 000)	(12 000)
ოფისის ხარჯი	(17 451)	(14 171)
სხვა ხარჯი	(557)	(910)
სულ	(659 845)	(310 726)

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 22 აგვისტოს.

შპს „წნორისიტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021 ლარი	31.12.2020 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები		27 826	27 829	25 094
სულ გრძელვადიანი აქტივები		27 826	27 829	25 094
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	14 243	14 177	27 843
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		365 170	703 300	662 319
სხვა მიმდინარე აქტივები	4	575 982	559 323	375 080
სულ მოკლევადიანი აქტივები		955 396	1 276 800	1 065 243
სულ აქტივები		983 221	1 304 629	1 090 336
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		607	522	17 986
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	373 983	335 030	157 160
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		374 591	335 552	175 146
სულ ვალდებულებები		374 591	335 552	175 146
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		250	250	250
გაუნაწილებელი მოგება		363 744	724 189	670 302
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		244 638	244 638	244 638
სულ საკუთარი კაპიტალი		608 631	969 077	915 190
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		983 221	1 304 629	1 090 336

შპს „წნორისიტი“-ის
დირექტორი ლევან პაპუაშვილი



შპს „წნორისტი“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	6	2 428 861	2 430 238
ამონაგების თვითღირებულება		(2 124 894)	(2 074 182)
საერთო მოგება		303 967	356 057
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(659 845)	(310 726)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(4 567)	8 556
მოგება დაბეგვრამდე		(360 445)	53 887
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(360 445)	53 887

შპს „წნორისტი“-ის
დირექტორი ლევან პაპუაშვილი




შპს „წნორისიტი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	250	670 302	244 638	915 190
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	53 887	53 887
ნაშთი - 31.12.2021	250	670 302	298 525	969 077
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	(360 445)	(360 445)
ნაშთი - 31.12.2022	250	670 302	(61 920)	608 632

შპს „წნორისიტი“-ის
დირექტორი ლევან პაპუაშვილი



5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	372 887	334 008	154 635
სხვა ვალდებულებები	1 096	1 022	2 526
სულ	373 983	335 030	157 160

6. ამონაგები

	2022	2021
შემოსავალი საცალო-საბითუმო საქმიანობიდან	2 428 861	2 430 238
სულ	2 428 861	2 430 238

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	(624 139)	(278 627)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(5 698)	(5 019)
იჯარის ხარჯი	(12 000)	(12 000)
ოფისის ხარჯი	(17 451)	(14 171)
სხვა ხარჯი	(557)	(910)
სულ	(659 845)	(310 726)

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 22 აგვისტოს.

შპს „წნორისიტი“-ის
დირექტორი ლევან პაპუაშვილი

